



დუშეთის რაიონის კულტურის სექტორის
ინსტიტუციონალური განვითარება

OPEN SOCIETY
FOUNDATIONS

ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი “ისტორიალი”

პრესრელიზი

ა.წ 25 მარტის 14:00 საათზე დუშეთის მუნიციპალიტეტში (მის: ქ. დუშეთი, რუსთაველის №60) ხელოვნების საერთაშორისო ცენტრ “ისტორიალის” ორგანიზებით გაიმართება პროექტის პრეზენტაცია — “დუშეთის რაიონის კულტურის სექტორის ინსტიტუციონალური განვითარება”.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია რიგი ღონისძიებების განხორციელება, კერძოდ პრაქტიკაზე ორიენტირებული ვორკშოპების, კონსულტაციების ჩატარება, ხალხური რეწვის პროდუქციის შექმნა, მაღაზია/სალონის გახსნა, ტურისტული მარშრუტების შედგენა, დუშეთის ტურისტული გზამკვლევის გამოცემა და ტუროპერატორებთან მუშაობა რეგიონში კულტურული ტურიზმის და ადგილობრივი ბაზრის განვითარებისთვის.

პროექტის მიზანია დუშეთის რაიონის კულტურის სექტორის განვითარების ხელშეწყობა, კერძოდ:

- სპეციალური ვორკშოპებისა და ტექნიკური დახმარების გზით დუშეთში კულტურის სფეროში მოღვაწე ორგანიზაციების, მცირე მეწარმეების, ხალხური რეწვის ოსტატების ინსტიტუციონალური უნარების განვითარება და სოციალური მეწარმეობის გზით ეკონომიკური მდგრადობის ხელშეწყობა;
- რეგიონის განვითარებისთვის კულტურის სფეროს მნიშვნელობის შესახებ საზოგადოებრივი აზრის ამაღლება;
- დუშეთში კულტურის სფეროში მოღვაწე ორგანიზაციების, მცირე მეწარმეების, ხალხური რეწვის ოსტატების რეგიონალური ქსელის შექმნა;
- დუშეთში კულტურული ტურიზმის პოტენციალის გაზრდა;
- ხალხური რეწვის ადგილობრივი ბაზრის განვითარება;

პროექტის ფინანსური მხარდამჭერები – ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი და ბუდაპეშტის ღია საზოგადოების ფონდის ქსელური პროგრამა

პროექტის ადგილობრივი პარტნიორი – საერთაშორისო თანამშრომლობისა და მდგრადი განვითარების ცენტრი ქ. დუშეთი.

პროექტი მიმდინარეობს ქ. დუშეთის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით,

პროექტის ორგანიზატორი:

ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი “ისტორიალი” -დირექტორი მაკა დვალიშვილი

პროექტის პი არ მენეჯერი - თამარ ხიჯაკაძე

ტელ: 897 77 55 98 ან 893 15 36 14 Email: tamoxijaka@yahoo.com